



ბრძანება N 195

„12“ 09 2017 წელი

ქ. თბილისი

გაკვეთილის გეგმის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე და 56-ე მუხლების, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის, „გარე დაკვირვების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 13 ივნისის N102/ნ ბრძანებით დამტკიცებული გარე დაკვირვების წესის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნებისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის N163/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 სექტემბრის N1056033 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს გაკვეთილის გეგმის ფორმა დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოცხადება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (tpdc.gov.ge) განთავსების გზით.
3. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6. 0131).

გიორგი მაჩაბელი

დირექტორი

გაკვეთილის გეგმის ფორმა

მასწავლებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი:

საგანი:

სწავლების საფეხური / კლასი:

მოსწავლეთა რაოდენობა:

გაკვეთილის თემა:

გაკვეთილის მიზანი:

N	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1					
2					
3					
4					

5					
---	--	--	--	--	--

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

შეფასება:

(მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები და/ან რუბრიკები თან უნდა ერთვოდეს გეგმას)

ხელმოწერა:

თარიღი: